

292
25 გვის ნაწილი
დაბა უფასოთ
ეგზამენთ.

5 დეკემბერი 1920 წ.

ეროვნული
ციტატი

ფასი 25 გვ.

მედია

№ 27 | მრგვანი სამ. სამი. პულტ განათლ. სეაჭილა. | № 27 |

ცვლილებანი მთავრობაში

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ და განათლების
მინისტრად დაინიშნა გრ. ლორთქიფანიძე.
სამხედრო მინისტრად პარმენ ჭიჭინაძე.
მიწად-მოქმედების მინისტრად დ. ონიაშვილი.
სოჭუთში საბჭოთა მთავრობა გამოცხადდა.

სამედინო მინისტრის შესრულებული აქცი

№ 4793.

მეორე ქვეითა ბრიგადის უფროსს, სანაპირო
ჯარის უფროსს, საინჟინერო-სატექნიკო ჯარის უფ-
როსს, საარმოო-საარტილერიო დივიზიონის უფ-
როსს, სადარაჯო ათასის თავს, სამხედრო სამინის-
ტროს კანცელარიის უფროსს, სამხედრო სამნე
კომიტეტის თავმჯდომარებელს, შინაგან საქმეთა სამი-
ნისტროს დირექტორს, სახალხო გვარდიის მთავარ
შტაბის თავმჯდომარეს, ქალ. ტფილისის სამხედრო
ილრიცხვის განყოფილების უფროსს, ტფილისის
მაზრის სამხედრო ილრიცხვის განყოფილების უფ-
როსს, ქალ. ტფილისის მოურავს, ტფილისის სა-
მაზრო უბნის თავმჯდომარეს.

დამატებათ ამა წლის 17 სექტემბრიდან,
№ 3755, ჩემი დეკემბრისა ვპრანებ:

1) განთავისუფლებულ იქნას სასწავლო ყრ-
ლობაზე გაწვევისაგან თაღარიგში გადარიცხვით
ამა წლის 1 დეკემბერს ყველა 1896 წელში დაბა-
დებულნი ის სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელ-
ნიც გამოცხადდენ სათანადო მხედრიცხვუფლებთან ამა
წლის 10 ივნის ტოს შემდეგ. დღეს იმყოფებიან საპ-

ხედრო ერთეულებში და შესრულებული აქცი კა-
ონით დადგენილი სასწავლო ყრილობის 6 კვირის
კადა; 2) აღნიშნული კატეგორიის ჯარის კაცთა
დათხოვნა მოხდეს იმავე წესრიგით, როგორიც მი-
სვებული იყო სასწავლო ყრილობაზე თ აგვისტომ-
დის გამოცხადებული ჯარის კაცთა დათხოვნის
დროს; 3) განთავისუფლებულ ჯარის კაცთა სრუ-
ლი სახელმისამართი სია და სამსახურის ნუსხების ჩა-
მონაქვერი № 2, დაუყონებლივ გადაეგზავნოს სა-
თანადო მხედრიცხვუფლებს; 4) განთავისუფლება ყველა
იმ ჯარის კაცთა, რომლებიც იმყოფებიან სამხედ-
რო ერთეულებში და ასრულებენ 6 კვირის ვადას
პირველ დეკემბერს შემდეგ მოხდეს ერთეულთა
უფროსების განკარგულებითა და მათი სრული პა-
სუხისმგებლობის ქვეშ; 5) ყველა 1896 წელში და-
ბადებულნი ის სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელ-
ნიც სხვა და სხვა მიხეხების გამო ჯერ არ ყოფი-
ლონ სასწავლო ყრილობაზე აუცილებლად გაიგზავ-
ნონ მხედრიცხვუფლების შემახლობელებს სამხედ-
რო ერთეულებში ყრილობის გასავლებად და არც
ერთ მათგანს არ უნდა იყდეს ყრილობაზე გაწვევა; 6)
ამ დეკემბრის მიღება მომხსენდეს გენ. შტაბის სა-
შუალებით.

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

გრძელებები

რესპუბლიკის ჯარების მიმართ

№ 166.

2 დეკემბერი 1920 წ. ქ. ტფილისი.

ჯარში კულტურული მუშაობის გასაცხოველებლათ ვბრძანებ:

ერთი საათი საერთო სამეცადინო დროისა და ეთმოს ყოველ დღე კულტურულ მუშაობას.

დანარჩენი მუშაობისათვის კი სექციამ უნდა ისარგებლოს სამსახურისავან თავისუფალი დროით.

2) სექციის უფლება ეძლევა გამოიყენოს ამ საქმეში ნაწილებში მყოფი ინტელიგენტური ძალები.

3) ნაწილების უფროსებს ვავალებ ხელი შეუწყონ კულტურული მუშაობის ნაყოფიერათ წარმართვას.

4) წერა-კითხვის სწავლება სავუნდო სკოლებში უნდა სწარმოებდეს ისე, როგორც წინეთ, ე. ი. უნდა ისწავლებოდეს ათასეულის უფროსის პასუხის მგებლობით.

სამხედრო მინისტრის ამხანაგი
გენერალი ოდიშელიძე.

სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციის მიმართ

№ 80.

2 დეკემბერი 1920 წ. ქ. ტფილისი.

თანამდებ სამხედრო მინისტრის ამხანაგის ბრძანებისა № 166 სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციის ნება ეძლევი, კულტურული მუშაობის განსაცხოველებლათ, ისარგებლოს ნაწილებში მყოფ ინტელიგენტური ძალებით, ამიტომ წინადადებას ვიძლევი: თითვეულ ათასეულში მყოფი ინტელიგენტური ძალები დაყოფილ იქმნას სამაგისტროს: 1) სალექციო, 2) საგასართოობო და 3) საანგარი.

პირველის მოვალეობა იქნება ჯარის-კაცების მუდმივ თანამედროვე მომენტის კურსში ყოლა და აგრეთვე ლექციებისა და საუბრების მართვა ლიტერატურიდან, ისტორიიდან და გეოგრაფიიდან. მეორესი — ჯარის-კაცების აზრიანი გართობა, წარმოდგენების მართვით, უურნალ-გაზეთების ჯგუფობრივი

ვათ კითხვის მოწყობით, სიმღერებით, ცეკვა-თამაშობით და სხვა... და მესამები მეწარება-კითხვის უკოლინართათვის ნებამყოფლობით ანიჭირს, სწავლება. მ მუშაობის დაუყრიცხებლივ ტრანსპორტი გატარების, მის საერთო ხელმძღვანელობას და პასუხის მგებლობის ვაკისრებ ბრიგადაში — თითვეული ბრიგადის ინსტრუქტორ-მასწავლებელს, ხოლო სადაც ჯერ ასეთი არ დანიშნული, იქ. კი — ათასეულების ინსტრუქტორ-ოფიცირებსა და მასწავლებლებს.

მთავარი ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი ართმელაძე.

ს ე რ ღ ი ი ს ტ

II.

ქემალ-ფაშა ოსმალთა ტრადიციას არ დაღარობს და აგრესიულ მოქმედების დაწყების წინ თავის წარმომადგენელის პირით ტკბილ სიტყვებსა და ქათინაურებს გვიძლვინის.

ტრაპიზონის ისტორია მეორედება, ტრაპიზონის ისტორია, როდესაც იქ ჩენს წარმომადგენლებს საქართველოსადმი მევობრობას ეფუცებოდენ, ხოლო ზურგს უკან ბათომის ასაღებათ ჯარებს აგზავნიდენ და იყარაში მოსყიდულ პირების საშუალებით აჯანყებას აწყობდნენ.

ასევე ხდება ახლაც. ზიამ ბეგი პრესის წარმომადგენლებს საქართველოსადმი ერთგულებას ეფუცება. მაგრამ რაც დრო გადის ის თანდათნილის იხდის და თავისი შურიან სახეს აჩენს. მას უკან თავის მთავრობის სახელით ბათომის ილჭევ პრეტენზია განუცხადებია.

ქართველმა ერმა აქამდინაც იკოდა, რომ ეს ისე იქნებოდა, ამიტომ იყო რომ მიუხედავად მათი ტკბილი სიტყვებისა სამხედრო სამშადისი არ შეუწვერია.

ოსმალების თაღლითობა პირეფერობა და უპირულობა ყველასთვის ცნობილი და ცხილი და მით უმეტეს საქართველოსთვის, მ საქართველოსთვის, რომლისადმიც მას ეს თვისებები არა ერთხელ გამოუჩენია.

როგორც სჩანს ქემალ-ფაშა ბედის წერა, როდესაც ჩენსკენ ფიქრობს წამოსვლის. 1918 წლის იმედი მას ტყვილად აქვს. ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა ქართველ ერში

ახლა უკვე შეგარი სახელმწიფო მონარქია მონარქია გვაძეს, გვყავს რეგულიარული ჯარი და გვარდია მრავალ ბრძოლებში გამომრჩებილი. ჩვენს გვარდიას და ჯარის უფრო ძლიერი მტერი და უმარცხებია, ვიდრე სამალეთია და არ გაუჭირდება ახლა არც ქემალ-ფაშას ბანდების უკუმცევა.

გთომის მაგალითით გათამაშებულ მტერს ჩვენ ისეთი მწარე გაკვეთილი უნდა მივსცეთ, რომ ამ გაჭვეთილის შემდეგ, თუ კიდევ ცოცხალი დარჩია, საშუალოთ დაეკარგოს ჩვენი ტერიტორიის ერთი მტკაველი მიწის დაპყრობის იმედიც კ. ჩვენში უნდა გაცაცხლდეს დღეს ჩვენი წინაპართა გმირული სული და კარგებზე მომდგრარი საფრთხე ჩვენს ძვირფასს და საყვარელ სამშაბლოს ისევე უნდა ავაცილოთ, როგორც ამას ძევებად ჩვენი წინაპარები შერებოდენ.

ევროპაში გავრცელებული გმირ მებრძოლთა სახელი, რომელიც საქართველოს გმირა მეუღებელების მოუპოვა, ისევ უნდა დაკიბრუნოთ.

ყველას უნდა გავაგებით, რომ ჩვენ არ მარტო მოპოვება შეგვიძლია თვისუფლებისა, არამედ კიდევ უფრო უკეთ მისი დაცვაც.

ცუდ დროს გვიხდება პოზიციებზე გასვლა, ამ ცივ ზამთარში ველებსა და ლრეებში დგომა, მაგრამ ეს გაბრაზება მტერზე უნდა გადვიტანოთ და სასტიკი პასუხიც ვაგებინოთ ამისათვის.

გუთანს დროებით ხელი უსდა გაუშვათ და იარაღს მოვკიდოთ, რომ მით ეს გუთანი და ჩვენი სახლკარი, ჩვენი ქვეყანა დავიცვაო.

ჩვენ არ გვინდოდა ბრძოლა, მაგრამ დევ მტერმა აგოს პასუხი, იმაზე რაც ამ ბრძოლას მოჰყვება.

მხნედ და მედგრად დავიძროთ პოზიციებისაკენ ამხანაგებო, ჯარის-კაცებო. კიდევ უფრო მხნედ და მედგრად შევემბათ მტერს და მით საქართველო სამალოთა უკავ-ყორნებისაგან ერთხელ აიდევ გავანთვისუფლოთ.

III.

რაი წელიწად ნახევარია რაც დამოუკრძებლობა გამოფიცხადეთ და რაც 118 წლის წინადელ ცხოვრებისთან კავშირი გავაძით. მონაბისა გან თავდახწეულებმა განთავისუფლების პირველ დღესვე ვსთკვით, რომ ჩვენ დავიცვათ მუდმივ ნიკორალიტეტს, რომ არავის საქმეებში არ ჩავერცით და არავის თავს არ დაეცხესმით.

საქართველო, იმ თავიდანვე მდიდარი მტერბით, არც ახლა შეიქმნა მას ჰიკლებული. თავისუფლების პირველ დღესვე უყოში გვწდენ და

იარაღით მოინდომეს ჩვენი ისევ დამინება კუთხისტოლიულ მტრებს ხელებიც მიეჭირა და ზოგი იარაღით და ზოგიც ბოროტი ენტრაქტულურების წინააღმდეგ. ვინ არ გვმტრობდა ცეცუას შემცირებულ და და ვინ არ გვითხრიდა საფლავს.

2½ წელიწადი ცატა ლროა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბევრი ბრძოლები. კა გვქონდა, და ყოველთვის ამ ბრძოლებიდან გამარჯვებული გამოვდიოდით. ვამარცხებდით მტერს ბრძოლის ველზე, ვამარცხებდით დიპლომატის ასპარეზზე და ვამარცხებდით კულისებშიაც.

ამ უამად კვლავ აღემართა ჩვენს ქვეყანის საფრთხე. სცენაზე გამოსულია საქართველოს ისტორიული მტრის ერთი ნაგლეჯი ქემალ-ფაშა თავისი ბანდებით. ქემალ-ფაშის წყალობით სამარცხვინო დამარცხებულ სამალეთს განზე გაუდგა ისევ ქემალ-ფაშა და ცდილობს თავისი ძველი ცოდვების ანგორის ავანტიურით გამოსყიდვის.

ქემალ-ფაშის ავანტიურა დღეს უკვე საარაკო თავხედობამდი მიღის სამალეთს გონიერება არა-სოდეს არა სწყალობდა, მაგრამ ხელი მთლად დაკარგვია. დამარცხებული იმასაც არ სჯერდება, რაც ბრძოლის დაწყებამდის პქნიდა და 1914 წლის საზღვრების აქეთაც მოიწვეს.

ის იქით აწვება, საითაც სისუსტეა და ფიქრობს ამით. მტერს ამარცხებს. თავის ქვეყნის მტრებთან ბრძოლის ველიდან სამარცხინო გამოკიცეული იმის წინააღმდეგ მოდის, ვისაც მასთან სამტრო არაფერი აქვს. გმირობა და მებრძოლობა სხვა დროს როდის გამოუჩენია სამალების, რომ ხელი გამოეჩინა. ძლიერისაგან დამტრითხალი სუსტებს შემოვცესია, მაგრამ აქაც ანგარიშში ცდება, მართალია მან სომხეთი უკვე გადალახა ყოველგვარ სამართლიანობის და კანონის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ხომ სომხეთი არაა, რომ მასავით დანებდეს. ჩვენ შეიძლება სუსტი ვართ სიმღიდროთ და მრავალ რიცხვიანობით, მაგრამ სუსტი არა ფართ ბრძოლაში და ჩვენი ქვეყნის საზღვრების დაცვაში.

არავის თავს არ დაესხმივართ, ჩვენი საზღვრების იქით ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს და თუ პიროვნებით თავს გვესმიან ნურას უაცრავად თუ მტერს შესაფერისად დაგხვდებით.

საქართველოში არა ერთხელ გათხრილა ქემალ-ფაშისა და მისი წინააღმდების სამარე და ახლაც გაითხრება.

საქართველო, ქემოლ-უაშის და მისი ბანდე-
პის სამარეა და ისინიც ამ სამარეს უახლოვდე-
ბიან. რაც აღრე მოხდება ეს მით უკეთესი ჩვენი
ქვეყნისა და ჩვენი ხალხისათვის.

ჯარის-კაცი გ. მებუკე.

ცხენოსანი ჯარის თვისება.

ჯარი უმთავრესად შესდგება იარაღის საპი და-
გისან: ცხენოსანი ჯარი, არტილერია და ქვეით
ჯარი.

ყოველი დარგის ჯარი განიჩევა დანარჩენე-
ბისან თვისი შემაღენლობით, შეიარაღებით, მოქ-
მედების თავისებურობით და განსაკუთრებული თვი-
სებებით.

ცხენოსანი ჯარი იჩენს სიმჭვირცხლეს და გამ-
ბედაობას, არტილერისტი მშვიდათ და შეურყევ-
ლად, მტკიცედ სდგას შისდამი რწმუნებულ ზარბა-
ზნებთან, ქვეითა ჯარი ფრთხილად, მოფიქრებით
და გაბედულათ ასრულებს თავის მოვალეობას.

აქედან ცხადია, რომ სხვა და სხვა იარაღის
ჯარის უფროსები უნდა იყოს სხვა და სხვა თვისე-
ბის და ნიჭის პატრონი. ამასთანავე არ უნდა გვა-
ვიწყდებოდეს, რომ ცხენოსანი ჯარის ხელმძღვა-
ნელი უნდა იყოს აღჭურვილი, ერთსა და იმავე
პიროვნებაში იშვიათად შეზავებულ თვისებებით.
ის უნდა იჩერდეს დიდი გამბედაობით და სივა-
კაცით, უნდა იჩენდეს განუსაზღვრავ აუღელებ-
ლობას და ხასიათის სიმტკიცეს უმწვერვალეს ხა-
სიათის გამბედაობასთან ერთად.

ყველა ეს პირობები აუცილებელია. ცხენოსა-
ნი ჯარის ხელმძღვანელისათვის მ-ტომ, რომ ცხე-
ნოსური საქე მოითხოვს დიდ დაკვირვებას მოქ-
მედების გეგმის შედგენისას, დაუშრეტელ სიმა-
ცეს და გამბედაობას მისი ასრულებისას, ასეთვე
აუღელებლობას დამარცხებასთან დაკავშირებულ
უკან დახვევისას და განუსაზღვრელ წინდახედულო-
ბას დამარცხებულ მტრის დევნის დროს.

თუ ცხენოსანი ჯარის უფროსი მოკლებულია
ამ განსაკუთრებულ თვისებებს და მას არ მოეპოვე-
ბა ისეთი თვისებანი ხასიათისა, რომლებიც საჭი-
როა ცხენოსანი ჯარის გამარჯვებისათვის მაშინ,
მზგავი სარდალის ხელში საუკეთესი. ცხენოსანი
ჯარის კი ვერსოლდეს ვერ შესძლები მომოქმე-
დოს ისეთი საქმე, რომელიც ღირსი იქნება ისტო-
რიაში შეტანისა.

საქმის მცოდნე სარდლობის ხელში ცხენოსა-
ნი ჯარი არასოდეს არ ყოფილი ტარიფულ უბ-
რალო ამოშებდ მასალად, არამარჯვების უ-
ფალა ჰეშმარიტი მონაწილე გამარჯვებისა თვისი
მძლავრი იერიშით იგი, კალაპოტიდან გადმოვარდ-
ნის აღიდებულ მდინარის მსგავსად წაპლევას გზა-
ზედ შემხვედრ ყრველგვარ წინააღმდეგობას, სპობს
და მიწასთან ასწორებს მას.

ყველა გამოჩენილი ცხენოსანი მხედრები ცნო-
ბილი არიან თვისი ვაჟკაცური სიმძლავრით, გმბე-
დაობით და აღფროთოვანების ცეცხლით ყოველივე
თავიანთ მიღრეკილობაში; ისინი განირჩეოდნენ
ერთი-მეორისაგან და ურთი-ერთს სჭარბობდნენ
მხოლოდ წინდახედულობის, გამჭრიახობის ოდნო-
ბით, რომელიც ძლიერ აუცილებელია ისეთ იდა-
მიანისათვის, რომელიც ვალდებულია გასწიოს პა-
სუხისმგებლობა სარდლისა.

შეტევაზედ გადასვლისას ცხენოსან ჯარს ყო-
ველთვის უნდა ჰყავდეს რელთ ქვეით თადარიგი,
რათა გაუმაგროს ზურგი დერიშზედ მიმავალ ნა-
წილს; ცხენოსანი ჯარის დამახასიათებელ თვისება-
თაგანი ის არის რომ იმარჯვებს ის მხარე, რომელ-
საც შეძლება აქვს მოქმედების დაბოლოს საქმეში
ხათადარიგო ნაწილი გამოიყანოს. მიტომ არის,
რომ ხანდახან მცირე ძალის ბედათ ხვდება უკუ აქ-
ციოს უკვე ძლევამოსილი, მაგრამ ბრძოლით მო-
ქანცული ცხენოსანი ჯარი, მიტომ რომ მოახერხა
ხათადარიგო ნაწილების გამოყვანა ბრძოლის დას-
სრულისას.

შეტევის ბოლოს, როდესაც ხალხი და ცხე-
ნები ლონე მიხილნი არიან დაღლილობის გამო,
ნაწილები არეულია ყველგან სუჟექს არევ-დარევა,
ბრძანებები ჯეროვან სისწრაფით ვერ აღწევს დანი-
შნულს ადგილამდე და აუსრულებელი რჩება, მი-
ტომაც ამ გარემოებაში თავდამსხმი ახალი რაზმი,
თორქმის ყველთვის, სძლევს მოპირდაპირეს, — გა-
მარჯვებას ხელთ იგდებს.

ცხენოსანი ჯარი ეს არის ყური და თვალები
ლაშქრისა: ის, ისე ვსოდეთ, განუჭვრეტელ ფარ-
დით უკავს ჯარებს მოულოდნელ თავდასხმებისა-
გან, ჰეთავს მოძრაობას ჯარებისა და ამასთანავე
იძლევა აუცილებელ ცნობებს მოპირდაპირის გან-
ზრდას გეგმებზე. ეს დარგი მოქმედებისა ინიკებს განსა-
კუთრებულ და ფასდაუდებელ მნიშვნელობას ცხე-
ნოსან ჯარებს. ძლიერ სასარგებლოა ამ უკანა-
კუნელთ მეორე ხასიათის დამახასიათებელი საქმი-
ნობა სურსათის მიწოდება და ზეგრვა, რომელთა-
თვის ცხენოსანი ჯარი ზეგამოჭრილია.

ცხენოსან ჯარის ღირსება სავსებით დამოკიდებულია. მისი ცხენების მდგომიარობაზე; თუ ცხენები ჯანდაგია, თუ ცხენების მოკაზმულობა ვერ არის გამოსადეგი და ზურგები წამხდარი აქვს, მაშინ ცხენები ძლიერ იდრე ფუჭდებიან; ასეთს შემთხვევაში კი ცხენოსანი ჯარი, როგორც ასეთი, უვარვისი ხდება.

ცხენოსანი ჯარი არისოდეს არ უნდა დანებდეს მტერს, განსაკუთრებით თუ ალაგი რამოდენიმდე მაინც ვაკეა, ეს არის ერთი საფუძვლთაგანი ცხენოსანი ჯარისა.

ღირსება ცხენოსანი ჯარის კიდევ არ არის დაკარგული, თუ მისი იერიში მოგერიებულია; ხშირი ყოფილია, რომ უკუქცეული და ბრძოლის ვალიდან უწესრიგოთ განდევნილი რაზმი შეკრეფილი და კვლავ ძლევამოსილი დაპბრუნებია საქმეს. ამის შესაძლებლობა ცხენოსანი ჯარის მოძრაობის სისწრაფეშია.

ცხენოსანი ჯარი აუცილებელია დამარცხებულ ჯარის უკანდახევის დასაფარავად, დამარცხებული მტრის სადევნად. ცხენოსანი ჯარის უყოლობის დროს დამარცხებული ჯარი ადვილად შეიძლება სრულიად განადგურებულ იქნას, განსაკუთრებით თუ მძლავრია მტრის ცხენოსანი ჯარი.

ცხენოსანმა ჯარმა იერიში უნდა აწარმოოს მოულოდნელად, სიმძლავრით, გაძელებული და საქმე ბოლომდის მიიყვანოს, არ არის არაფერი საყობანო მძღვი, რომ იერიშზედ გადასვლის ბრძნების მიტებისთანავე — წინდახედულობამ აღავი უნდა დაუთმოს გამბედაობის და საბოლოო გადწყვეტილებას.

როდესაც ცხენოსანი ჯარი დაქვეითებულია (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით), მაშინ მისი შიში ზედმეტია.

ცხენოსანი ჯარში, ცხენებს მართლაც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ რომენობა ცხენოსანი ჯარის ნაწილისა განისაზღვრება, როცხვით ომში გამოსადევარ ცხენებისა.

მხედარ — ცხენოსანი მოეთხვება მეტი გონიერება და ცოდნა, კიდრე სხვა რომელიმე დარგის ჯარის-კაცს, სამცველო საგუშაგოებზედ, დასათვალიერებლად დანიშნულ ცხენით სიარულს და ცხენით დაზვერებისას, მხედარმა — ცხენოსანმა უნდა გამოიყენოს საქმეში თვისი საკუთარი გონიერება, რაც ამნაირი სიმწვავით არ მოეთხვება არც ქვეთა ჯარის-კაცს და არც არტილერისტს.

აი, რას ლაპარაკობს ამაზედ ცხენოსანი ჯარის ერთი საუკეთესო გენერალთაგანი: „ცხენო-

სანი ჯარი, რომელიც არ არის ზედმიწევნით განვითარებული და აღჭურვილი ცხენოსანი უკუქცეული უკუქცეული არის ასეთ ცხენოსანი. ჯარის მნიშვნელობა არ აქვს არავითარი მნიშვნელობა. ეს პირობები საჭიროა უყველივე დარგის იარაღისათვის, მაგრამ ისინი ცხენოსანი ჯარისათვის განსაკუთრებით აუცილებელია. ერთ-და-იმავე დროს, ბრძოლაში მხედარი — ცხენოსანი უნდა ჰმართავდეს თვისი აღზებულ ცხენს, სდგის რა პირის-პირ მტერთან, და მარჯვეთ უნდა ხმარობდეს თვისი იარაღს, მაშინ როდესაც ქვეით ჯარის-კაცი და არტილერისტი იბრძვიან მტრისაგან ცოტად თუ ბევრიდ მოშორებულ მანძილზედ.

ა. ვ—იძე.

უ უ რ ა დ ლ ე ბ ბ.

ვინც მოქალაქეა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის; ვისაც სავსებით შეუგნია დღევანდელი მომენტის სირთულე, მას არ შეუძლია გულზე ხელ-დაკრეფილი შეყურებდეს ყოველივე იმ რავგასულობას ზოგიერთ პირებისა, რომელსაც ადგილი აქვს დღეს. I-ლი მუხლი ბრძანებისა № 94 სამხედრო უწყების მიმართ ამა წლის 30 ოქტომბრიდან ამბობს, რომ ნებით დაქირავებულნი არა-ითარ სხივინ კაყოფაზე არ უნდა იქნან ჩარიცხულიო. ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარება უფრო სამხედრო ერთფულის უფროსებზე იყო და არის დამოკიდებული. მიუხედვათ ყოველივე ამისა ნებით დაქირავებულნი ისევ ღებულობენ ულუფას სამხედრო ნაწილებილან, როდესაც მთავრობა ნებით დაქირავებულთ უსპობდა ულუფას, ის იმ აზრით კი არ ხელმძღვანელობდა, რომ მათთვის მოესპონ ასებების სახსარი არა, ყველამ იცის რომ არსებობს მუშაობა მაგიდა, საიდანაც ყველა მუშაობა სამსახურებს სურსათ-სანოვავეს დაკლებულ ფასებში, რაც მას საგრძნობლად უადგილებს ცხოვრების მძიმე პირობებს. მართლია ნებით დაქირავებულთ ბრძანების ხალით წაერთვათ უფლება ულუფის მიღებისა სამხედრო ნაწილებში, მაგრამ სამაგიეროთ მთავრობამ ისინი გაგზავნა მუშაობა მაგიდაში და მით მან მოისურვა სახელმწიფო ხარჯების შემოკლება. დღეს ჩემი წარმოსადგენია ისეთი ადამიანი, რომელსაც დღევანდელი მომენტის სირთულე და სიმწვავე არ ქონდეს შეცანურებული. ეს სიმწვავე უფრო ჩაოლი იქნება მის-

თვის, ვინც კი ოდნავ ჩაუფიქრდება ჩვენს ეკონო-
მიურ ცხოვრებას. მიუხედავათ ყოველივე ამისა ნე-
ბით დაქირავებული, ზოგ ილავის, სამხედრო ნა-
წილშიც ღებულობს ულუფას და ამავე ღრის მუ-
შათა მაგიდაშიც, რაც სრულიათ დასაშვები. არ
არის. მათი ასეთი მოქმედება ართულებს ისედაც
გართულებულ სურსათ-სანოვაგის კრიზისს; ეს იმ
ღრის, როდესაც მთავრობა ყოველივე ღონეს ხმა-
რობს არც ერთი ზედმეტი მარცვილი არ დაიხარ-
ჯოს—მათ ეს ვერ შეუგნიათ და ისევ ორულუფას
ღებულობენ. ასეთი ხალხი ზედმეტია საქართველო-
სათვის და მათ ეხლავე უნდა გაუკეთდეს შესაფე-
რისი დეზინფექცია, ვისგანაც ჯერ არს. ახსოვდეთ
მათ, რომ მათვის სამარცხვინო ბოძები
ჩვენი დემოკრატიული პაპარატის შენებას; ახსოვ-
დეთ მათ, რომ მათვის სამარცხვინო ბოძები
მზადება თუ ისინი თვითონვე არ აღიარებენ თა-
ვიანთ ცოდვებს. ყოველივე მოქალაქე, რომელსაც
კეთილი სურს საქართველოსათვის და ვისთვისაც
ძვირფასია თავისუფლება, ის ვალდებულია ყურა-
დება იქნიოს და თუ სადმე ხოება ასეთი უკა-
ნონობა, განაცხილოს ჯეროვან აღილებე და მით
ვალი მოიხადოს, სამშობლოს წინაშე. მთავრობა კა-
ნონს სცემს და ეს კანონი ჩვენვე უნდა გავატა-
როთ ცხოვრებაში. საჭიროა მუშათა მაგიდებმა ეხ-
ლავე გაუკეთოს რევიზია, სამხედრო ნაწილებში,
ნებით დაქირავებულთა სის მათი ულუფის რაო-
დენობის გამოსარკვევად და დამნაშავეს შესაფერი
მსჯავრი დასდოს.

ჯ. კაცი კ—ელი.

კულტურული მუშაობა მე-9 ასპინძის ათასეულები.

დღემდე თუ სხვადასხვა მიზეზების გამო კულ-
ტურული მუშაობა შეფერხებული იყო სხენებულ
ათასეულში, დღეს კი სამაგიეროთ გორკეცებული
მუშაობა სწარმოებს. ჯარისკაცები ინსტრუქტორ-მას-
წავლებელ ჩიქოვანის მეთაურობით ხშირად დადინან
წარმოდგენებში, „პროფესიონებში“, ცირკში და სხვა
გასართობებში, რომელშიც ქალაქის გამგეობაშ
უფრო ადგილები დაგვითო. დღემდე თუ შეგნე-
ბული ძალა ნაკლები გვევადა, დღეს კი ძლიერ
ბლობათ მოგვემრა, სათადარიგო ჯარის-კაცების
სახით, ინსტრუქტორ-მასწავლებელმა ყველა შეგნე-

ბული ძალების მობილიზაცია მოახდინა და თავის
გარშემო შემოკრიბა, ათასეულის უფროსმა პოლ-
კოვნიკ ვაჩნაძემ მეტად შექრწყულობის მიზანი
მოუჩინა კულტურულ სატეატრო მიზანების მიზან
თავისი ბრძანებით ყველა გუნდის უფროსებს დაავალა
აუცილებლად აწარმოვონ გაზეთებისა და უზრნალების
კითხა, ახსნა და განმარტება თავიანთ გუნდებში.
ეს მაცადინება მან ყველისათვის სავალდებულო
გახადა. ამ მხრივ დიდი ბადლობის ღირსია ის, აგ-
რეთვე მადლობის ღირსია ინსტრ. მასწავლებელი ჩი-
ქოვანი რომელიც არ ზოგავს ენერგიის და შრო-
მას ჯარის კაცო განათლება-განვითარებისათვის.
გაზეთების მხრივ, ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ,
მხოლოდ ძლიერ გვიან ვლებულობთ, მესმე დღეს
მოგვდის თფილისის გაზეთები. ოფიციელსა და ჯა-
რის კაცებში შეიძლება ითქვას რომ ძმური და
მშვენიერი განწყობილებაა, ერთი სიტყვით დასკვნა
შეიძლება ასეთი იყოს.

კულტურული საქმე ძლიერ კარგათ მიმდინა-
რეობს, საუბარი ჯარის კაცებთან სისტემატიურად
სწარმოებს, წარმოდგენა-გასართობებშიც ხშირად
დადინან და სხვები.

ერთი სიტყვით მე უამრჩენია მხოლოდ უსურ-
ვო ნაყოფიერი და კეთილი მუშაობა, ყველა ხელ-
მძღვანელებს.

საწყალი მუშა.

წერილი თრონიდიან.

თანახმად ხაშხ. მინისტრის ბრძანებისა, როგორც
სხვა ნაწილებში, ჩვენ ლეგიონშიც იმყოფებიდა
თადარიგში გადარიცხული ჯარის-კაცი, და კოველ-
დღე მოველოდით ჩვენ-ჩვენ იჯახებში დაბრუნებას.
ერთი მეორეს ხშირად შევეკითხებოდით; ბიჭი შენ
ხომ არაფერი ამბავი გაგიგია ჩვენი გაშვების შესახებ.
ერთხელაც ამ კითხვაში რომ ვართ, უცემ ერთმა
ჯარის-კაცმა წამოიძახა: სახში გაშვება კი-არა შტაბ-
ში ბრძანება მოსვლიათ რომ 24 საათში მრემზადე-
თო, სადღაცა მიეღივართო, ამ სიტყვის გაგონებაზე
თადარიგში გადარიცხულმა ჯარის კაცებში უპასუ-
ხებს: შენ ჩემი ძმაო ჯერ სამსახური არ გავითა-
ვებია და ტყუილათ მოიგონე ვითომ ჩვენ გვაჯა-
ვრებო, აბა ეხლა სად გაგვაგზავნიან ომი ხომ
ალარსად არის.

ამ ლაპარაკში რომ ვართ უცემ შემობრძანდა
ჩვენი ესკადრონის უფროსი და დაიძახა: „ზემდეგიც

ნაცვლები ჩემთანაო“ ამათ თავი მოუყარა და უბრძანა თუ რამდენ ხანში დაროგორ უნდა მომზადებულიყო ესკადრონი. მაშინ ყველანი დავრწმუნდით რომ ამ ხანაგი მართალს გველაპარაკებოდა 24 საათის განმავლობაში მთელი ლეგიონი დამწკრივებული ვიყვით გასამგზავრებლით; ამ დროს მომზანდა ლეგიონის უფროსი მოგვესალმა და გავემგზავრეთ.

მხედრები, ჩვენ მივდივართ მთავრობის ბრძანებით ამა და ამ ილაგებში გაფრთხილებთ რომ არ იქნეს ადგილობრივ მცხოვრებლების შეწუხება და არავითარი ქურდობა! ეს არ შეშვენის ქართველ მხედრებს, ჩვენ უნდა დაუმტკიცოთ იმათ რომ ჩვენ მივედით მათ დასაცველად და არა სამტროლ. გაუმარჯოს ჩვენ მთავრობას და მის დამცველ ჯარს. ლეგიონმა ერთხმით შესძახა ვაშა, ძანილი ჰევარავდა არე-იარეს.

გავემგზარეთ და მივედით დანიშნულ ალაგას იქ შეტა გულ-შემზარავ სურათებს ვხედავთ: დღითი-დღე მოდიან სომხის ლტოლვილები, არა აქვთ სასმელ-საჭმელი, არა აქვთ ბინა, ყრიან თოვლიან მინდვრებში!

ამის ნახვამ სიბრილულით იგვიც გული და მეორე მხრივ უფრო გაგვამაგრა მთელი მხედრობა და ამით უფრო მტკიცედ ვდგევართ ჩვენ სადარაჯოზე და ფიცა ვზდებთ სამშობლოს წინაშე, რომ ჩვენ გადავარჩენთ მას ასეთ ა იოკებისაგან და უკანასკნელ სისხლის წვეთმდე ვიბრძოლებთ მის დასაცველად.

გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას და მის დამცველ ჯარს.

ცხენოსანი ლეგიონის მე-2 ესკადრონის მხედრები ვიქტორ გურგენიძე და სანდრო გოგიაური.

გულტურული მუშაობა . მე-2 საარტილერიო დივიზიონში.

დიდი ხანია ამ დივიზიონში კულტურული მუშაობა დაიწყო. სანამდის მასწავლებლები დაინიშნებოდნენ ამ დივიზიონში, თვით ოფიცრები მეცადი-ნებდნენ ჯ. კაცებთან. ქონდათ ბატარიაში სამკითხველო, სადაც მოსდიოდენ გაზეთები და სხვა და სხვა ჟურნალები. დიდი შრომა მიუძღვის ოფიცრებს ამ დივიზიონში კულტურულ მუშაობის გაჩაღებაში. მთაწყვეს თეატრი, იმართებოდა წარმოდგენები, და ამ თეატრშივე მოთავსებულია ჯ. კ. უნი-

ვერსიტეტი. მასში დანიშნულ მასწ. ნესტონ ჭითავა, რომელმაც სისტემატიურული მუშაობების კითხვა. ოქტომბერში დაწინუდებული მუშაობა რუქტორ თვიცერი კ. ბოჯვუა. ეხლა დივიზიონს ჰყავს ორი ინსტრუქტორი. ლექციები იმართება ყოველ-დღე. უნივერსიტეტში არსებობს ორი განყოფილება. 1) სადაც ლექციებს ისმენენ წერა-კითხვის მცოდნე ჯ. კაცები, მეორეში კი ასწავლიან წერა-კითხვას, ასე რომ მეცადინეობა მიმდინარეობს ორ ალაგას. დაარსდა დრამატიული წრე, ამ დღე-ბში გამართავს წარმოდგენას უნივერსიტეტს დარბაზში. ამ დივიზიონს ესტუმრა. მეორე ბრიგადის ინსტრუქტორი ბ. მელიქიშვილი, დაათვალიერა თეატრის დარბაზი, მერე დაესწრო ბ. ჭითავას ლექციას, რომელიც უკითხვდა ადგრძელების უპირობაზე. ბ. მელიქიშვილმა იუსნი ჯ. კაცებს დღვენადელი და წასული მდგომარეობა, ჯ. კ. გააცნო მომენტს და დაუხასიათა თუ რა არის სწავლა-განათლება. მერე დაესწრო ინსტრუქტორ-ოფიცერს გაკვეთილზე, რომელიც ავარჯიშებდა ჯ. კაცებს წერა-კითხვაში. შემიძლია თამამათ ითქვას რომ მეორე დივიზიონში კულტურული მუშაობა კარგ ნიადაგზე დგება და მალე გაამართლებს ჩვენს იმდებს.

შებათ! 6 ნოემბერს მეორე დივიზიონის სათეატრო დარბაზში ჯ. კაცთა სკუნის მოყვარეთა წრემ ინსტრუქტორ-ოფიცერის ბ. ბოჯვუას ხელმძღვანელობით წარმოადგინა ჭანტურიშვილისა „ბურუსი“. წარმოადგინის შემდეგ ჯ. კაცებმა წაიკითხეს ლექციები და გაიძიოთა ცეკვა-თამაში დივიზიონის ორკესტრით. წარმოდგენის წინ ორკესტრმა დაუკრა „დიდება“ ზემდეგ მასწავლებელმა ბ-ნ ჭითავებ მოკლე სუბარში გააცნო ჯ. კაცები წარმოდგენის და საურთოდ საკულტურო მუშაობის მნიშვნელობას და უსურეა ახლად შემდგართ ამ დივიზიონში დრამატიულ წრეს ნაყოფიერი მუშაობა. ოფიცრობამ დიდი დახმარება გაუწია წარმოდგენის მოწყობას. ეს შრომა ოფიცრებისა ჩვენდანში შეუმჩნევლათ არ ჩაივლის. ჯ. კაცები უცხადებთ ულრმეს მაღლობას.

იმედია შემდეგშიაც გაგვიწევენ ასეთ დამარტინებას.

მე-2 საარტილერიო დივიზიონის მე-3 ბატარიის ჯ. კაცი ლ. კოკიშვილი.

მოგონება ბავშვობიდვან.

ბავშვობაში ბევრი მხიარული დრო გამიტარებია, მაგრამ ერთი უძვირფასები ხანა მთელი ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. ეს იყო 1913 წელი, როდესაც სოფლის ორკლასიან. სასწავლებლის უკანასკნელ განყოფილებაში ვრყავი. არ დამავიწყდება იმიტომ რომ, მაშინდლიდგან იწყება ჩემი გამორკვევა გათვითცნობიერება...

ბევრი კარგი მასწავლებლები მყოლია მაგრამ, ერთა კი რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ჩემი განვითარების საქმეში მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩემგან. ეს იყო, ამ უამად მესანგრე ათასეულის მოქალაქე-მასწავლებელი სავლე აბულიძე. რომელიც ეხლაც არ მაკლებს თავის ტკბილ მოუწყინარ საუბარს, აյ ჯარში .. დაწვრილებით აღწერას მთელ მის მაშინდელ მოღვაწეობისას არ შეუდგები, მხოლოდ არ შემიძლიან არ აღვნიშნო მისი გავლენები, რომლებმაც ძალიან იმოქმედეს ჩემზე.

სავლეს ძალიან უყვარდა ქართული ლიტერატურა და ამ საგანზე დიდხანს უევგახერებდა ხოლმე. ის გვიხსნიდა ვეფხვის ტყაოსანს, გვიკითხავდა საუკეთესო ქართულ წიგნებს, გვესაუბრებოდა ქართველ მწერლებზე და მათ ბედზე, გვაძლევდა სხვა და სხვა თემებს დასაწერად და ჭან იცის რამდენი სხვა...

ერთხელ ქართული ენის გაკვეთილზე, ძალიან დიდხანს გვებასა, სამშობლოს წარსულზე და მომავალზე. ის დღე ნათელ-მხიან დღედაა შთაბეჭდითი ჩემს ხსოვნაში...

საუბრის დასსრულს საკლასო დაფაზე დაგვიწერა თემა: „წერილი სამშობლოსთან“ და გვიხსრა: „აბა რომელი უფრო ყოჩალი გამოდგებით და რომელი როგორ წერილს მისწერთ სამშობლოსო“. შინ დაბრუნებისას გზაში თბილი გრძნობა მიღირინებდა და მოუსვენარ მდგომარეობას განვიციდიდი. მინდოდა მართლაც ლირსეული წერილი მიმეწერა სამშობლოსთვის. სახლში რომ მივედი, არა მიჰამია რა ისე შეუდექი საქმეს.

— მოდი ლექსად მივწერ წერილსთქმა, გამიელვა ფიქრმა და მაშინვე შეუდექი ცთას; და მართლაც თუმცა სუსტი, სამშობლოსადმი სიყვარულით სავსე პატარა ლექსი დავსწერ:

წერილი სამშობლოსთან.

ჩემო ძეირთასო სამშობლოვ
შენ შემოგვევლე გრსათ
შენ შემოგვიცავ იქსოს

შენთვის არ ვიზამ ავსაო.

მიყვარხარ ჩემო სამშობლოვ

და მიყვარს შენთვის ქრონიკონი
ვახტანგ დავით ტა თამარი

ერეკლე მტრისა მგმობელი.

შე მიყვარს კიდევ სამშობლოვ

გამნათლებელი ქართვლისა

შოთა, ილია, აქაკი

დიდება ჩეენი ხალხისა.

იყავი ჩემო სამშობლოვ

მეცნიერებით აღვსილი

გწერს კიცხის სკოლის მოწაფე

ბუბულაშვილი ვასილი.

მე პირველათ მხოლოდ სავლეს შეოხებით ვიგრძე, მთელი თავისი სიშინელებით სამშობლოს მონობა მისი მეოხებით დავინახე თუ როგორ დასჩხაოდნენ. ჩემს ტანჯულ ერს ყვავ-ყორნები და მისივე მეოხებით კარგი მომავლის იმედებით გაიმსკვალა ჩემი ჯერ გამოუცდელი გული. სწორედ იმ დროს, როდესაც პირველად ჩისახა ჩემს გულში ასეთი გრძნობა დავსწერ პატარა და იმედიანი ლექსი:

ტყვე საყვარელს.

(ვგულისხმობდი სამშობლოს).

თუმც ფიქრების შავი ხროვა

გულს მიღრნიდეს მისერავდეს.

თუმც მუდმივი ტანჯვა-გლოვა

შავ სუდარას მიკერავდეს

მაინც შენი სიყვარული

მე მამხნევებს მაიმედებს

და ეს დატანჯული გული

მხოლოდ შენს გულს ეძებს, ეძებს!..

დევ რისხვით მომევლინოს

ცხოვრების ამაოება

დევ ვიგრძნო დავინახო

რომ ჭირსა, ჭირი მოება

მე ბრძოლის მაინც არ მოუშლი

და არ დავკარგავ იმედსა

კარგი მომავლის ლოდინში

შეურიგდები ჩემს ბედსა.

თუმც ვიცოდე რომ კა, რისხვით

ჩემს თავზე იგრიალებდეს

ყორანთ ხროვა მრავალ რიცხვით

შუდამ თავს დამტრიალებდეს

მაინც შენი სიყვარული

მე მამხნევებს მაიმედებს

და ეს დატანჯული გული

მხოლოდ შენს გულს ეძებს, ეძებს!..

დიახ, მეც ბეღნიერი ვარ რომ აქ ჯარშიც დიდი ყურადღება უნდა ქონდეს მიქაელო, რადგანმენ ძვირფას მასწავლებლის ტკბილ საუბარს, გან ჯარის კაცი გარეგნობით ზიმმენინთობით, რა ირმელშიც ბევრს სრულიად ახალს ვითვისებ ესწალა ბეჭდის მინათობით ცოტა მაინც უნდა წაგველება უკელ რაინდებს, რომელნიც ყოველ ქვეყნის და ხალხის სიამაჟეს შეაღგენდენ.

3. კაცი ბუბულაშვილი.

კულტურული მუშაობა ჯარში.

3. სადარბაზო ოთახი.

ჯარის კაცი თავის თავს რიგიანად გრძნობს ყაზარმაში მხოლოდ მაშინ, როცა იყი ჩიყენებულია იმნაირ მდგომარეობაში, სადაც ყოველივე სულიერი მისი მოთხოვნილებანი,—რაც, რასაკვირველია, პირდაპირ სამხედრო საქმეს; და სამხედრო ხელოვნებას არ ეწინააღმდეგება—რიგიანად დაკაყუფილებული იქნება ამისათვის კულტურულ სახელმწიფოებში შემოღებულია ჯარის-კაცოათვის მოწყობილი იყოს სადარბაზო რთახი.

სადარბაზო ოთახი. ეს ისეთი ოთახია, სადაც ჯარის კაცი პოულობს სულიერ და ხორციელ შესვენებას; ოთახი უნდა იყოს ფართო, სრული, მაღალ კედლებიანი, ხშირ ფანჯრებიანი, რომ ოთახში ბეკრი სინათლე იყოს; რთახი მოწყობილია მაგიდებით, სკამებით, მაგიდაზედ ყოველოვის უნდა იყოს საწერ. კალამი და ქალალდი, რომ ჯარის კაცი მა თავისიანებს ხანდახან წერილი მიწერის; ამავე ოთახში მოწყობილი ერთ კუთხეში პატარა წიგნთ-საცავი, სადაც სხვა და სხვა წიგნები შეიძლება მიიღოს. ჯარის კაცმა საკითხავად; ამავე ოთახში ინახება ურნალ-გაზეთები, რომლებსაც კითხულობს კოველივე მსურველი; სადარბაზო ოთახი ეს ისეთი ოთახია, სადაც ჯარის კაცს შეუძლიან მიიღოს სტუმრები და მისი მოკეთენი განსაზღვრულ დროს. სადარბაზო ოთახში ჯარის კაცს შეუძლიან თუთუნი მოსწიოს, და ამიტომ ფერფლისათვის ჯამებია დადგმული მაგიდაზედ და იატაზედ. ყოველივე თავისუფალ დროს ჯარის კაცი იტარებს თავის ამხანაგებთან ერთად სადარბაზო ოთახში.

4 სადალაქო ოთახი.

სადალაქო ოთახი უნდა იყოს მოწყობილი ყოველივე ერთეულში; სადალაქო ოთახს უნდა ეძლეოდეს დიდი ყურადღება; ეს ისეთი ოთახია, სადაც ჯარის კაცი კვირაში 5—6 მაინც უნდა შევიდეს რომ თავისი ბუნებრივი სიღამაზე გაამშვენიეროს; თმის რიგიანად შენახვას, წვერის მოპარსვას

დიდი ყურადღება უნდა ქონდეს მიქაელო, რადგანმენ ძვირფას მასწავლებლის ტკბილ საუბარს, გან ჯარის კაცი გარეგნობით ზიმმენინთობით, რა ირმელშიც ბევრს სრულიად ახალს ვითვისებ ესწალა ბეჭდის მინათობით ცოტა მაინც უნდა წაგველება უკელ რაინდებს, რომელნიც ყოველ ქვეყნის და ხალხის სიამაჟეს შეაღგენდენ.

სადალაქო ოთახი უნდა იყოს ყოველ მხრივ მოწყობილი, აქ უნდა იყოს რამოდენიმე სარკე, 2—3 პირსაბანი მანქანი და საპონი, ყოველივე ჯარის კაცს უნდა ქონდეს საშვალება იხმაროს სუფთათ პირსახოცი.

5. პირსაბანი-ოთახი.

პირსაბანი ოთახი მოწყობილია უმეტეს შემთხვევაში საწოლ ითახთან ახლოს; და საბანი მანქანები უნდა მუშაობდენ როგორც ცივი ისე თფილი წყლის მილითაც. მანქანები ისე უნდა იყვნენ ჩამოწერივებულნი რომ ჯარის კაცებს თავისუფალ შეეძლონ ხელ-პირის დაბანი, და ეს პროცესი ისე უნდა ხწირმოებდეს რომ წყალის ნაშეფი ამხანაგს არ უნდა მოხვდეს; სოზოგადოთ მიღებულია ხელ-პირის ბანა დილას აღრე, იალონზედ, და უფრო გიგანტური იქნებოდა რომ უმთავრესი ხელ-პირის ბანა საპნით და თფილი წყლით სწირმოებდეს საღამოს, როცა ჯარის კაცი მორჩი ყოველივე დღიურ მუშაობას. დილას საკმარისია თუ ძალამოტებილი წყლით პირს დაიბანს, კიდევ უკეთესია თუ ტანსაბანია მოწყობილი და ჯარის, კაცს შეუძლია მიიღოს შეცეფი— „დუში“— რაც მიღებულია ამერიკის და ინგლისის ჯარებში.

ჩვენ, როგორც ექიმი, აქ ვაქცევთ ყურადღებას ორ გარემოებას. პირველი: ჯარის კაცმა რომ ყოველ საღამოს გულდასმით და მუყითად დაიბანოს საპნით ხელი, პირი, კისერი უსათუოდ საღამოს, რადგან გასუფთავდეს იმ მტვერის და სხვა სიბინძურისაგან, რომელიც მას დღის განმავლობაში შეეყარა.

მეორე, ის რომ ხელ-პირის დაბანი საპნით და რიგიანის წესით შეიძლება მხოლოდ მაშვინ, როცა კარგი თფილი წყლით იბანს ხელ-პირს. ტალახის და სიბინძურის და ბაქტერიების მოშორება შეიძლება მხოლოდ მაშვინ, თუ ჩვენ ვიბანთ ხელ-პირს კარგი თფილი წყლით, ცივი წყლით ბანა კი თავის მოტყუებაა.

აღმოსავლეთ ჩინეთში, შანხაის და კანტონის რიონებში, ჩინელები საშინელ უსუფთაობაში სკოვრობენ, მაგრამ აქვთ ერთი კარგი ჩვეულებაც: საჭმლის მიღების წინ ხელ პირს იბანენ თითქმის ცხელი წლით, რაც გიგინურად სრულიად მოსაწონია და მისაღები.

ადამიანის კანში ბევრი თვალ უხილავი უჯრე-
დებია, სადაც მიკრობები და ბაქტერიებია, და მწვე-
ნიერადაც ბუდობენ, და მათი მოშორება შეიძლე-
ბა მხოლოდ მაშინ; როცა კარგი თფილი წყლით
და საპნით გავადნობთ კანის იმ ზედა პირს რო-
მელზედაც ისინი ბუდობენ, და ცივ წყალს კი კა-
ნის ზედა-პირის გაღრმადა არ შეუძლია; მაგ, უნდა
შემოვილოთ წესათ, რომ თავი და თავი ხელ-პირის
ბანა სწავლობდეს მუშაობის შემდეგ საღმოს, რომ
ჯარის კაცმა გასუფთავებულმა წმინდა საძინებელ
ოთახში საკმარისად ტაბილად გამოიძინოს რომ მათ სპობს ნაეთ.

6 ტანთსაბანი ოთახი.

ამერიკის და ინგლისის ყაზარმებში მოწყობი-
ლია ყოველგან ტანთსაბანი ოთახები; სადაც თით-
ქმის ყველა მსურველს შეუძლია ტანი დაიბანოს.

ტანს იბანებენ იალონზედ 5—6 საათამდის,
შემდეგ ცხელ საუზმეს მიირთმევს ამერიკელი ჯა-
რის კაცი, ნამეტურ ყავას, ჩვენში კი ჩაი არის შე-
მოღებული. ტანის ბანა უმთავრესად ორის მეტო-
დით სწარმოებს: ზოგი უფრო ერტფის ვანებს, ზო-
გი კი ტანს იბანს შევფის—დუშის შემწეობით.
დუშის მიღება უფრო სასურველია, როგორც გი-
გიენის მხრივ, აგრეთვე ტეხნიკურის მოსაზრები-
თაც დუშის შემწეობით სულ მოკლე ხანში 10—20
ადამიანს შეუძლია ტანი იბანოს, და ვანის საშვა-
ლებით კი ამ დროს განმავლობაში 1 ან 2 თუ
მოსწრებს ტანის დაბანას, ამერიკაში დუშია უფ-
რო გავრცელებული, ჩვენთვისაც სასურველია ამ
სისტემის ტანის ბანაობა შემოვილოთ ჩვენს ყაზარ-
მებში ჯარის კაცთათვის, რომელი ჯანმრთელობი-
სათვის არავთარ ხარჯმა არ უნდა შეგვაჩეროს.

7. ფეხის აღვილები.

ფეხის აღვილები უნდა იყოს მოწყობილი ყო-
ველ ერთეულში წინდიწინ მიჩნეულ და განსაზ-
ღვრულ კუთხეში. სასურველია რომ ყოველგან
სიფონის სისტემით ტეხნიკურად იყოს მოწყობილი
ფეხი ადამიანის როლის ამსრულებელი და გელევა-
ეს უფრო გივიენურია, ვიდრე ორმოების სისტემა. ნიშვილი მას ხმაც შესაფერი ჰქონდა და სცენაზე
ფეხის ადგილებს უნდა ქონდეს მიქცეული დიდი თავდაჭრაც.
ყურადღება რომ მუდამ სისუფთავე იყოს დაცული,
და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ უფროსები ზე
სისტემას შექმნიან ჯარის კაცთ ასწავლონ თუ რა ბაც.
ნაირად უნდა დავიცვათ სიწმინდე და სისუფთავე
ფეხის აღვილები. აქ ჩვენ ამ საგანს ვაქცევთ განსა-
კუთრებულ ყურადღებას. იმ განზრახვით რომ, ჩვენ

ვიცით რომ არა თუ ცმავეტრიტერ ჰაუნდუმლებმა
შეიძლება იცოდეს ფეხის ბრძოლაში ჩაგდებულ ხმა-
რება, არამედ შვეიცარიაში, ფენევაში, ხშირად ვა-
გვიგონია მკვიდრთა ის აზრი, რომ რუსის სტუ-
დინტებმაც კი რიგიანი ხმარება არ იციან ფეხის
აღვილისი.

საღეწვენფერებით მასალად ყველაზედ უკეთესია
ნავოით დეზინფექცია, რაღგანაც კარბოლის სიმ-
უვე მხოლოდ მყრალ სულს სტოვებს და მიკრო-
ბებს და ბაქტერიებს კი არ სპობს ისე როგორც
ოთახში საკმარისად ტაბილად გამოიძინოს რომ მათ სპობს ნაეთ.

ექიმი ნ. ერისთავ-შარვაშიძე.

წარმოდგენა მე-7 ათასეულში

როგორც შინად ვწერდი მე-7, ათასეულში
წარმოდგენების საქეც ჯეროვან ნიადაგზე დაყე-
ნებული. არსებობს სცენის მოყვარეთა ჯგუფი და
მსახიობ ჩაგუნვას ხელმძღვანელობით იმართება
სისტემატიურად წარმოდგენები. სცენის მოყვარე-
თა ჯგუფი, რომელიც ჯარის-კაცებისაგან შესდგე-
ბა ამ მხრივ ენერგიულად მუშაობს.

სამშაბათს, ..0 ნოემბერს ამ ჯგუფის მიერ გი-
მართა ჯარის-კაცთაოვის უფასო წარმოდგენა. წარ-
მოდგინებს ვ. გუნიას ისტორიული დრამა „და
ძმა“ წარმოდგენის წინ თეატრსა და პიესის შესა-
ხებ ჯარის-კაცებს სიტყვა უოხრა ათასეულის ინსტ-
რუქტორშა მინდელმა.

უნდა აღინიშნოს, რომ სცენის მოყვარეთა
თამაში დამაკმაყოფილებელი იყო. სცენაზე თავი
საკათად თამაშიდ და თავისუფლად ეჭირათ და
გელ მონოლოგებსაც თავისუფლად ლაპარაკობ-
დენ. მათ თამაში უნაკლული რასაკვირველია არ
იყო, მაგრამ ეს არც გასაკვირველია. ბევრი მათ-
განი პირველად გამოდის სცენაზე და მათ მეტიც

ამ საღამოს განსაკუთრებით ყურადღებას იქ-
სიფონის სისტემით ტეხნიკურად იყოს მოწყობილი
ცვედა ადამიანის როლის ამსრულებელი და გელევა-
ეს ფეხის ადგილებს უნდა ქონდეს მიქცეული თავდაჭრაც.

ამზადებენ დასაღვამათ „მივღიგართ პოზიცია-
ზე“ იქნება იგრეთვე სალიტერატურო განყოფილე-
სისტემას შექმნიან ჯარის კაცთ ასწავლონ თუ რა ბაც.

ჯარის-კაცი.

მიჯნურის მიუბაში

(ლეგენდა).

ლამეა ბნელი, უფარსკვლავო, ხედის მომ-
გვრელი.

ლამეა ბნელი არ სჩინს მთვარე, მთა მინდორ-
ველი...

ჭაბუქმა განვლო ტანჯვა-კვნესით უღრანი ტყე,
ეკლით მოსილი, და დაქანცულმა ერთ მთის ძირის,
მდინარის პირის, მოიხსნა ტვირთა, ისაზმა, და მი-
იძინა.... ტყის ფერიებმა სუნით იგრძეს ადამიანი,
შემოეხვინენ და დაიწყეს ტებილი სიმღერა... ჭა-
ბუქმა ჩაესმა მშევნიერი სიგალობელი... ხედავს სიზ-
მარში: მიაღწია დასახულ მიზანს, ორა სასახლეში
ინახულა სატრფო გულისა...

სიხარულიდან პირზე ღიმით გამოიღვიმა და
რა იხილა ფერიები, მოსიმღერენი, გაკვირებული
გამოშტერდა, სმენად გადიქცა... -ჩვენ გიშველით,
ჩვენ დაგიხსნით, ა, ეს ხმალი ბასრათ მჭრელი, იქ
ზღვის პირის ცხრა მთას იქით, სასახლეა დევთა-
დევის, რომლის დამძლე, რომლის მჯობნე არ-
ვინაა ჯერ ამ ქვეყნით, იმ დევსა ყავს შენი სატრ-
ფო ცხრა კლიტულში ჩამწყვდეული...

წადი ეხლაც, ნულარ იცდი ამ ხმალს ენდვე
და იმითი უეპველად მას დაიხსნი. ესა სოქვეს და
ფერიები მიიმაღენ ტყის ფოლლებში...

ხმალი პრიალა, სხივის მფრქვევი ჰით მზისა
შექი, ფერიებისგან ნაჩქარი ხმალი ძვირფასი ჭა-
ბუქმა ხელში ამაყურად მოატრიალა.

ალარ შეჩერდა, წამს ჩიიჭრა მდინარის პირის,
ცივა ნაკადით ანკარი წყლით ძილი გაჰჭანტრა,
გუდა ნაბადი გვერდზე იგლო და გზას გაუდგა...

მიღის ჭაბუკი უსვენებლივ, შეუჩერებლივ თვის
სავალი გზა ორ სათოში გადაიარა. იგერ! გამოჩ-
ნდა თვალწარმტაცა მაღალი კოშკი, მარმარილოს
ქვით ნაშენები ორა სასახლენი... უეცრად გაჩნდენ
ფერიები და ჭაბუქს უთხრეს:

—ი აქ არის შენი სატრფო ამ სასახლეში,
დევთა-დევია ამა ქვეყნის, კოშკის პატრონი და
იმ დევსა ყავს შენი სატრფო იქ დამწყვდეული...

ნუ გეშინია ჩვენი ლოცვით შენ გაიმარჯვებ
დაიხსნი სატრფოს და ის კოშკიც თქვენვე დაგრ-
ჩებათ.

შედი მამაცათ, ვაჟა-ცურათ ეკვეონ დევს-
დევს ხმალს რომ შემოკრავ ჩვენი ლოცვით სულს
განუტოვებას!

ჭაბუქმა იგრძნო უხილესი ძალა უღებში,
შევარდა კოშკში ვითა ლომი გააფორებული ნა-
ჩუქარი ხმლით დევთა-დევე ლაშქრი უკავშირი და
ისილა ცრემლას მდნარი ძვირფას და და

დღესაც მიჯნური სიუპარულის ცეცხლს შე-
უცყრია და განცხრომაში ატარებენ ვნებიან დღე-
ებს...

შალვა გომართელი.

ლადო მესიშვილის გარდა- ცვალების გამო.

კიდევ დიდი საფლავი! ეს როგორც მხედრებს
გვაფოლადებს ომისთვის, ვინაიდან შეუძლებელია
მტკიცე ამხედრება იქ, სადაც ზურგში ირ გაგუ-
ლება ძვირფასი და დიადი საფლავები. როგორც
სცენის მოყვარენი კი ვისურვებდით, გარდაცვლილ
მესხიშვილის განცდას, და ეს ატცილებელი განა-
ხლებულ ქრისულ დრამისთვის.

მე-6 ქვეითა ათას. სცენის მოყვარეთა წრე.

სემობლის სიმობლე...

სტეფან უალომსახის ნოველლებიდან.

ძლვნად ქართველ მხედრებს.

(გაგრძელება).

და როდესაც ესენი, ძალმომრენი აქ გამოჩ-
ვებულია ყიუინას სცემდენ ამ მამულთა პატრონთ
სამშილში და დამცირებაში ამოდიოდათ სული
შორეულ ქვენებში გაციმბირებულთ და წყევა-
კრულვას უგზავნიდენ მას-ვინც ქვეყნად გააჩინა
ამიყი პატ იოსნების, თავისუფლების და სულიერი
სიმაღლის მოსისხლე მტერი-რუსი...

* *

იცათ? რაშია საქმე?

გენერალი როზლუცკი-პოლონელი იყო წარ-
მოპადგენლად ერთის, პოლონეთში მამულებით
უხვად დაჯილდოებულის რუსი—მეპატრონისა. „უმ-
ღლესად“ დაჯილდოებულისა—პოლონეთის აჯან-
ყების განაღგურებაში მონაწილეობისთვის.

და აი, გენერალი ოოზლუცქი მობრძანდა
ფულვარკზე,—რომლის ძველი მოივარადრე იყო
მამაქემი, რომ ჩამორთმეული მამულების შესახებ
„უკაზი“ს თანახმად გადაეჭრა სახელმწიფო ჩარი-
ცხულ ტყიდან მოზრდილი ნაკერი ზემოხსენებულ
როს მებაზორნის სასარგებლოთ.

გადამჭრელი ნაწილის გაზომება უკვე გათავე-
ბული იყო. ზემლებერმა კნოპფმა, — რომელმაც ჩვე-
ნი ოჯახის სამწუხაროდ — ჩვენს, სახლში მთელს
კვირის იცხოვრა — გაიყვნა როგორც იქნა ბოლომ-
დის სასაზღვრო ხაზი და ნაქირავები ხე-ტყის მუ-
შები კარგი ხანის სკრილნენ ხეებს და სწერნდლენ
საზღვრის ნაპირებს ძველს, დაყრუებულს ტყეში...

გენერალი ოოზლუცკი, სამი დღე იყო უკვე
მოსული ფოლვარქზე და ჩარობდა რაც შეიძლე-
ბა მალე ჩაეგთარებია მამაჩემისთვის იჯარით ახ-
ლად ჩამოჭრილი ტყე, იდგილობრივი მართველო-
ბის თანდასწრებით.

მუშების ორ ჯგუფს გაჰყავდათ ხაზი საზღვრი-
სა — ორივე მხრიდან და თანდათან უახლოვდებო-
დენ ერთმანეთს. ეგონათ, რომ მუშაობას მორჩე-
ბოდენ მხის ჩასვლამდის, მაგრამ ახლოვდებოდა აგერ
შუალამე და ჯერ საზღვრის გაყვანა კიდევ გაუთა-
ვებელი იყო.

გენერალმა კი გადასწყვიტა აუცილებლათ გამ-
გზავრება დილით. სასოფლო მართველობას აც უნ-
დოდა ძალიან როგორმე გათავებულიყო ეგ საქმე,
და ამიტომ გადასწყვიტეს ემუშავათ ღამით თუნ-
დაც გათენებამდის...

აქვე ტყეში გაჩაღებული იქნა კოცონი—ერთის მხრით რისიანათ იყო დაბრძანებული დასაკეც სკამზე გრენარი როზლუცი. კოცონის მეორე მხრით კი: ქეჩით დაფარულს ჯირკვწედ იჯდა ზემოქმერი კნოპფი—გამოხვეული გრძელს მიწამდის ჩამსტვენს გეტრაპერჩის სახურავში. ნერვიული კაცი, რომელიც აკეთებდა ათასგვარ გრიბამსებს—თვალების ჭანჭურით. მის გვერდში უხერხულათ მოკუნძულიყო ლეონიჩის თანაშემწე გუნველიჩი, —რომელიც დიდის ყურადღებით ეპყრობოდა ბოთლ კონიაკს, და მხოლოდ შესახედავათ სვამდა ხანდისხან რამდენიმე კაცზ ჩაის. სოფლის მწერალი ულშაკოვსკი და ძველი მამასახლისი გაღა ისხდნენ ერთად. გალას შეირდა უმშვენებდა მედალი წარწერით: პოლონელთა აჯანყების ჩაქრობისათვეს: მამაჩემი, რომელიც საკმაოდ მიჩვეულიყო ტყიურს, მონადირისებურს ცხოვრებას—ნახევრ ად მიწოლილიყო მიწაზე და მე კი—მაშინ კიდევ მოწაფე—

გენერლის დიდაცობით უჩინებულებები ვდემდი
და სმენად ვიყავ გალაციონს.

სახლიდან, რომელიც აქვთან იქნებოდა
ორი ვერსტის მანძილზე — მოგვიტანეს ვაჩშამი და
ეწლა ჩვენ ვეროობოდით მოლოდინში — სანამ არ
მოსჭრიდენ საზღვრის პირში — უკანასკნელ ნახვებს.

ყველანი შესანიშნავ კარგ გუნდაზე იყვნენ...

გეხერალს, რომელსაც იქ კარგათ შეენახა
თავი — რომ მოხუცობას არც კი იმჩნევდა — ეჭირა
თავი შესაფერო მეღილურობით. მწერლისა და მამასახ-
ლისის ყოფნას აქ ის არც კი ამჩნევდა, ყოველ
შემთხვევაში იომენდა მათ სრულიად უპიოტესტოდ
და არაფერო ჰქონდა იმის წინააღმდეგ, რომ ისინი
მაღალიანათ ანადგურებდენ შემწვარ წიწლებს, ნაკ-
რებს სხვა და სხვა გრილი შემწვარი სიჭმელებისა,
ოვალ დანაბეჭლი უშვებდენ ყანყრატოში კიქებით
ძველს არაყს, ზედ აყოლებდნენ ოვითო ჭიქა ლუდს
და თბებოდენ რომ ნარევი ჩაით.

გუნკევიჩს გენერალი აბედნიერებდა თავის ერთი ან ორი სიტყვით, ხოლო კნოპს კიდეც ემუ-საითებოდა...

როვორც პოლონელი, გენერალი ყოველგან
და ყოველთვის—სახელმწიფო დაწესებულებებშიც
კი დემონსტრაციულად ლაპარაკობდა პოლონურ
ენაზე. მის გამოთქმაში შესამჩნევად ისმოდა რუსუ-
ლი კილო, მაგრამ ეს კილო,—გასაკვირველად უ-
დებოდა მის მსხვილ ფიგურას, ტლინქი მაუდის
მაგრამ კოხტად შეკერილ კურტკას სამხედრო ქუდს,
მაუდის გამაშებს. და ჭალარა, დაგრეხილ ულვა-
შებს...

მან კარგა ხანია რაც დასდგა თავის ჭიქა საინზე
და ეხლა იჯდა გამოჭიმული, კოხტად წამოედგა ერ-
თ, ფეხი წინ და ამოეზნიქა გვერდი.

ხანდისჩან, მოიბრუნებდა სახეს, შეხედავდა
ტყეს, უგდებდა ყურს გამოძახილის თამაშს, და
შემდეგ ისევ უბრუნდებოდა ზემოხსენებულ მდგო-
მარეობას...

—ბატონი თანაშემწევ—მიმართა გენერალმა
გუნკევიჩს —შორს არის აქედან სუხტნიოვი?

გუნევიჩა დასლგა წამსვე ჭიქა, ზრდოლობი-
ანად დაპერარა დაბლა თავისი მთლად მოსცეტილი
ასვი და, უბასუხა, რომ პირდაპირი გზით არ გა-
მოვა არც ერთი ვერსტიო.

— თქვენ კი აქ უკვე გზები იციო? გუნდევიჩმა ააშუქა სიაპაყის გამომხატველი ლიმილი. მას ვერ ეძოვა შესაფერი სიტყვები, რომ გამოეთქა მისი შეუდარებელი ცოლნა იგურის ოღრო-ჩილროებისა: ის იყო ლენინის თანაშემწედ უკვე თც წელზე მეტი.

— ჰომ.. სოქვა გენერალმა დაუიქრებით — ის უნდა მეკითხა: იქით ოქვენ ასეთი გზა — ზაგნან-სკიდან ვზღოლმდის? წინად ამ გზაზე კიდევ იდგა დუქანი დაბურულს ტყეში?..

— ზასოზდინ? — როგორ არა? ეხლაც სდგას, — მიუგო გუნკევიჩა.

— ერთი უხეირო გზა მიდიოდა იქიდან სუხე-დნიოვისკენ, მეორე კუ, უფრო ლიგიანი — ვზღოლისა და ბოძენტინისკენ...

— დიახ, დიახ, სწორედ მასე გახლავს — პატონი გენერალი!

— ვაშ, დუქანი — თქვენ გებობთ ეხლაც სდგასო?

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, სდგას. ქურდების უმთავრესი ბინა და თავშესაფარია. სწორედ იქ იყრიან თავს მთელი პოლონეთის ცხენის ქურდები...

— იმ დუქნის წინ, გზის იქითა მხარეს, იყო ერთი ქვაშნარი მაღლობი, კარგა მოზრდილი... უყითელი... მაღლობზე იზრდებოდა რამდენიმე ალ-ვის ხე...

(შემდეგი იქნება).

სამშობლოს პერა!

მიყვარს ბუნება ჩემი ქვეყნისა
მიყვარს ილერსი ჩემი მშობლისა,
მიყვარს მე სმენა ფრინველთ ჭიკჭიკის
და ბულბულისა ნაზი გალობა.

მიყვარს არაგვი

მისი ნაპირი

მიყვარს იქ ჯდომა და

განსვენება.

მიყვარს უზომო. სიყვარულითა
ჩემი სამშობლოს ტანჯული კერა.

მიყვარს! მიყვარს! და მეყვარება

სამშობლო მხარე მისი ბუნება.

მე-2 სანაპ. რაზმის ჯ.-კ. აპოლონი.

* *

ამბობენ იქ დიდ რუსეთში ერთვენ და ბერძნები არიან სოციალიზმი გამეფდა, გასწორდა მთა და ბარიო

აღარ არსებობს მარცველი
მგელი, მელა და ტურაო!
მუსრის იღებს პროლეტარების
მედგრი დიკტატურაო!

ბურუუა — მუქთა ხორები
ვეღარ იღებენ ხმასაო,
ამაღლდენ დაჩაგრულები;
ჰხარობს მშრომელი მასაო!

პური უფულოთ რიგდება,
რამდენიც გინდა ჭიმეო!
იცინე, იმხიარულე,
ყოველ დდე, ყოველ ღამეო!

გავბრიყვით, წაველ რუსეთში,
გზაში ვარაბავდი ქართველებს,
პასუხისმგებელ პარტიას,
ვთავრობას, საქმის მმართველებს!

მივედი ხალხი გმინაუდა
მშიერ ტიტველი — მკენესარი
გულში ვსოდი კომუნისტების
სოციალიზმი ეს არი?

სიმღილე წალეკილია
სამოქალაქო ომითა,
მშრომელი დაძრწის ქუჩაში
შურის ძიებით, წყრომითა!

ისმის გოდება წუხილი
ყოველგან, ყოველ კუთხეში.
მას აქებს მხოლოდ სულელი
საქმის არ მცოდნე, უხეში!

არც წესი, არცა კანონი,—
არიან თავის ნებაზე!
აგებულია ყოველი
ძალა და ბოროტებაზე!

ამბობენ, ჯერე დანგრევა
და მერე აშენებოთ;
დამყარდეს სოციალიზმი
ქვეყანა დამშვენდებოთ!

რაც იქა ვნახე, კალამით
ვერ უვალებ იმის წერასა,
გამოვიპარე, მოვენდევ
ისევ სამშობლო კერასა!

დავგმევი ბალშევიკობაც,
ამოვიფხიკე სიაში;
ნახული გამოვაცხადე
„ერთობის“ რედაქტიაში!
რომელ ზაფხულში ყოფილა,
როდის გაზღილა ხეთ ია!
აქ სამოთხეა — სიცოცხლე —
იქ ტანჯვა-ჯოჯოხეთია.

გაშა-ბაქურა.

ს უ ჩ ა თ ი ს.

ცივ შემოდგომის ავდრიან ღამეს,
როცა ფანჯარას ესხმევა წვიმია,
და აფთარივით ქირი ღმუილით
ღაპქრის ბაღშია ჩემს სახლის წინა,
შის ღმუილ გრიალს ას წლის ხეები
უპასუხებენ კვნესა ქრიალით
და ფოთლები კი ყვითელ სამიად
ძირს ეგებიან კანკალ-შრიალით,
ვზივარ მარტოკა, თვალ წინ შეხატვის
ციხე დარბაზი, მარტო, ეული,
ოდესლიც მძლე ამაყ-ზვიალი,
ან დაღვრემილი და დაწერეული.
ჩამოჰქცევია იქა იქ წვერი,
კედლები ხავსით მთლად მოდებული
და მის ცარიელ ბნელ ოთახებში
ღამურათა ბრძო დაბუდებული.
სათოფურიდან არ იხედება
ამაყ რაინდთა მრისხანე თჭალი
და თავისუფლად მათ ნაცვლად ახლა
მწარე სისინით შიგ დაპქრის ქარი.
კუნკულში გდია მეფისა ტახტი
ძირს დაცემული და დამტვრეული
იქავ აგდია გვირგვინი, ისიც
ლაფუ ში გასვრილი და დამსხვრეული.
გაბნეული, შიგ დალეწილი
ჩაჩქან-ისრები იქვე ფარხმლები;
ირგვლივ კლდეებზე და იატაკზე
საბედისწერო სისხლის წვეთები ..
ნეტა ვის ვკითხო, ვინ გამოჩნდება,
მითხას რას ნიშნავს ესე ნიშნები!
ციხე დარბაზი და დამსხვრეული
ტახტი... გვირგვინი... სისხლის წვეთები...

ოუნკერი ა რა - ლი.

კლადიმერ ალექსანდრეს მემკვიდრეობის სამართლის

მ ხ ე დ ა რ ის თ შ მ ა.

მოსწყუდა ცას ერთი ვარსკვლავი,
ძირს ჩამოეშვა მწუხარედ,
ჯერ გაანათა ქვეყანა,
მერე დაეცა მდუმარედ.

აცრემლდა მდინარეები,
აზვიროდა ტალლა ზღვისაო,
ბუნების ძალას შესჩივლები —
ვარსკვლავი ცრემლებს გვლვრისაო!

ცამ ჩამოსძახა ქვეყანას —
გულ-დაწყვეტილი ვრჩებიო,
მეც რომა ვსტირი ვარსკვლავზე
ნუ თუ არ გვემით ხმებიო!

ასე მოსთქვამდა, ცა, — მიწა,
არეს ესმოდა ჩივილი;
ყველგან გულის თქმა, წუხილი,
გამოძახილი, უივილი.

დ ა თ ი კ ი ნ . ლ ო ლ ი ბ ე რ ი ძ ე .

ბ ე ლ ა ვ ე ბ ე რ ი ნ ე ბ ა .

კვლავ ევლინება სამშობლოს მტერი
სამხრეთიდან წითელ სამოსით,
თოთქოს გვპირდება იხარებს ერი
ჩვენსა საზღვრებში მათი შამოსვლით.
მაგრამ მხედრები, მათ პასუხს ჰავცემა,
ფეხზე დავდგებით, მტერს არ დავინდობთ,
მახვილს მივმართავთ და გულში ჩივცემი
მტერს. მოზღვავებულს, ფლიდისა და უნდოთ.
მესნაგ. ათას. მხედარი შალვა ბზვანელი.



ԱՐԵՎԵԼ ԵՍՖԻՑԻՆ.

ዕኑጠዘመሬ

შეს სახმილი მოსდებია, იწვის ქვეყნის ტრფიალებით,
ბუნების ფრთა გაუშლია, ათრთოლებულს ნეტარებით!
გაზაფხული შევბით სუფევს და ლივლივი გააქვს ჰაერს,
ვარდ-ყვავილებს სიო არხევს და ბულბული ეშხით დამღერს...
მაგრამ სხლტება ამ ჩარჩოდან ჩემი ფიქრის ნაკადული,
ვერ მანიჭებს სრულ სიამეს ეს ბაღნარი გაბადრული:
ჩემი გულის ძაფის წვერი შენსკენ არის მომართული,
მსურს შენს ახლოს დავიბაღო, სასიმღეროდ მომართაული!
ამ ბუნებას უშენობა მაშორებს და განზე მტოვებს,
შენ გესწრიაფვი, შენი ხილვა გამიხარებს, აღმაფრთოვნებს...
მინდა შენი ნაზი სიტყვა ბულბულის პანგს ჩაექარგოს,
მინდა ჩემი გულის ფერთქა შენ სუნთქვაში ჩაიკარგოს,
მინდა შენი სიყვარულით მზეს სიცხოვლე შეემატოს,
მინდა შენმა თანაგრძნობამ გულის სევდა გამაუანტოს!..
მინდა ჩქარა შენთან მოსვლა, მაგრამ — ვაგლაბ — ვგვიანდები:
გზაში მხედება ღობე — ყორე, ექლები და ტყის ბარდები
დღეს ვერ მოვალ .. ხებლ? — რა გითხრა! წუთს რა მოაქვს, არვინ იცის...
მნათობს ცეცხლი უკიდია, დედამიწა ტრფობით იწვის!
მეცა მინდა შენთან ყოფნა, სანამ დარი კიდევ დარობს,
სანამ გულში ღვივის გრძელობა, სიყვარული მოცინარობს!
ვეტრფი, ვეტრფი შენს შეხვედრას, დაგებურო ვით ვარდს ნამი:
არვინ იცის, რას გვიმზადებს ხვალინდელი ღრო და უამი!..

6 აბენისაძე.

6 3 5 0 1 3 0

(0 6 0 3 13/0 6)

ცეცხლის რაჟები ფრუტუნობრენ შენს სამეფოში, ძლევის გვირგვინი პრილიანტის აღში გეწვიდა, გიცნობრენ ყველგან, ისე როგორც საქართველოში. იყავ უძლევი, უკმიერ სიტყვას შენ ვან გეტყიდა....

ხმლის საიდუმლო შენ იცოდი ყველაზედ უკეთ.
იცოდი ბრძოლა, საშინელი, საფათარაკო,
მვლინებოდი თავგასულ მტერს ზარ-მცემ სიუჩვეთ...
იყვა უძლევი, მრისხანგა პატარა კახა!..

შენთან ამაოდ ჩაიარა თვეოთონ დალატმა,
ასპინძის ველზე გარბის მტერი სიაფის მდომი,
თავი შეგწირა კადნიერშა კოხტა ბეჭაღდა.
კრწანისის ველზედ დაამარცხე ირანის ლომი.

მაგრამ განსაკულეობა, ბედის წერა სჭედავდა ახალს,
ღრმა მუშაორებით შეიცვალა ერთიანი ლხინი...
შენ წახველ, მაგრამ სავალალოდ აქ დარჩა შენს ხალხს,
პირ პეტერ! გაბზარული ჩატაფლის გვირგვინი... -

viii. សង្គមដៃ.

დ ე ბ მ ბ ე რ ი

(შელოდია)

(ს. გელაზარიშვილი)

ჩამოძრმანდა დეკემბერი,
თეთრ წვერება ეს ბებერი,
და გათეთრდა ყველაფერი!..

დასჭუნა ია, დასჭუნა ვარდი,
გაპქრა ზაფხულისა ლანდი,
მოგვემატა, სევდა-დარდი!..

და ზამთარი ყველის ჰყინავს,
ყველა შიშობს, ყველა გმინავს,
მზის სხივები იღარ ბრწყინავს!..

მე სიცივე მიყვარს მკერრი:
მიყვარს ოვლის ფიფქი თეთრი,
ცის და მიწის შემაცრო!..

დარი არის, თუ ავლარი,
ჩემთვის მაინც ერთი არი,
მარად მღერის ჩემი ქნარი!..

ჯ. კ. აპოლონ კულაშელი.

მ ხ ე დ რ ის ს ი მ ღ ე რ ა.

ჰინი სამშობლოვ! სამშობლოვ!
შენი კალთების ჭირიმე,
როს გხედავ განსაცდელშია
სულ ბავშვივითა ვტირი მე.

ვით გაუძლოს ქირთველს გულშა
როს გიხილოს განსაცდელში
არ გავიდეს ვით ერთგულმა
ბრძოლის ველზე ხმალით ხელში.

და შეც მხოლოდ სხვებთან ერთად
გამოვდივარ ბრძოლის ველად
გამოვდივარ სამშობლის
მტრის ქლანჭისგან დასახსნელად.

რაც შეფერის ერთგულ მხედრებს
სასახელოს პასუხს გავცი ქარენ ვალე
ერთხელ კიდევ სამუტრისული იმართება
მტარვალთ გროვის თავზარს დავცემთ.

მხოლოდ ამას გთხოვ სამშობლოვ!
ჩემო ტურფავ ჩემო მხარე,
დე მე მოვკვდე ბრძოლის ველზე
ოლონდ შენ კი გაიხარე.

მქანგ. ათას. მხედარი შალვა ბზგანელი.

ჯარის კაცის სიმღერა.

ლორთიქიფანიძე ჯარში გვიწვევს,
ყორდანია იდასტურებს;
და სამშობლოს დასაცავად
დედა გვლოცავს და გვისტუმრებს.
მეგობრებო! ხომა ხედავთ,
ღრო დამდგარა სავანგებო!
ახმაურდა საქართველო,
მაშ ვიბრძოლოთ ერთად ძმებო!
რას დაგვაკლებს ქემალ-ფაშა,
თუ გმირულად შევაძახეთ,
რაინდულად თუ დაუხვდით,
თუ რომ ცეცხლი დავანახვეთ!..
ქართველურის სიმამაციო
ვაწარმოვოთ უნდა ბრძოლია,
ჩენ არ გვიყვარს განსაცდლის ღროს,
სილაჩრე და შიში ძრწოლა!..
მაშ ვიშიშვლოთ მედგრად ხმლები
გადავიდეთ იერიშით
და ძრწოდენ ჩენის შიშით!..
ლორთიქიფანიძე ჯარში გვიწვევს,
ყორდანია იდასტურებს,
და სამშობლოს დასაცავათ,
დედა გვლოცავს და გვისტუმრებს!..

ჯ. კ. აპოლონ კულაშელი.

პასუხის მგებელი რედაქტ. ნ. კურდლელაშვილი.